პროფ. დოქ. ადნან ბულენთ ბალოღლუ

ტერორი

რსს გამომცემლობა

პროფ. დრ. აღმად ბულუთი ბალოღლუ

ცვლილება

DİYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2
2020-06-Y-0003-1766
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა
Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti
Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„ჰიშამ ბ. ჰაქიმ ბ. ნიზამი მექას გათავისუფლებისას მუსლიმი გახდა. მამამისი ჰაქიმ ბ. ნიზამი ჰზ. ჰატიჯეს ძმის შვილი და შუამავლის ბავშვობის მეგობარი იყო. ჰიშამ ბ. ჰაქიმი ბედნიერების ხანის გამორჩეული პიროვნება იყო. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხანი იცოცხლა.

ხალიფა ომარის მმართველობის პერიოდი იყო. ჰიშამი შამის რეგიონში ასეთ ამბავს შეესწრო. გლეხები დაეკავებინათ, თავზე ზეთისხილის ზეთი ესვათ და მზეში იდგნენ. ამ გაუსაძლის სიცხეში, მზის ქვეშ მდგარი ადამიანების ბრალი რა იყო ნეტა? ჰიშამმა იკითხა ბრალეულობა და მას უთხრეს, რომ ისინი გადასახადებს არ იხდიდნენ. არადა კანონი და სუნნეთი ნათელი იყო.

ჰიშამი წამით წარსულში წავიდა და თქვა, რომ მას შუამავლის მიერ ნაბრძანები სიტყვები ახსოვდა: „ვინ ამქ-

ვეყნად ადამიანებს აწამებს, უეჭველად ღვთიურ წამებას დაიმსახურებს“.

ამ სამართლიანმა მორწმუნემ გულგრილად კი არ ჩაიარა, შეცდომა დაინახა, რეაქცია ჰქონდა და გამოსწორებას შეეცადა. მან იცოდა, რომ ძალადობა სიძულვილს იწვევდა, რომელიც თავის მხრივ ქაოსად გარდაიქმნებოდა და ბოლოს ტერორში გადაიზრდებოდა. ჰიშამი მაშინვე იმ დროს პალესტინის მმართველთან უმეირ ბინ სადთან მივიდა და მდგომარეობა აუხსნა. მმართველის ბრძანებით გლეხები მაშინვე გაათავისუფლეს“. (მუსლიმ, ბირ ვე სილა, 117-118)

ძალადობა კაცობრიობის ისტორია-

ში ერთ-ერთი უძველესი მოვლენაა. უფრო მეტიც, ის პირველი ადამიანების ცხოვრების პერიოდში გამოვლინდა. ცნობილია, რომ ადამის შვილმა კაენმა შურის გამო საკუთარი ძმა, აბელი მოკლა. ამ მოვლენით სათავე დაედო ისეთ უარყოფით გრძნობებს, როგორიცაა შური, რისხვა და ძალადობა. როგორც ყურანშია მოთხრობილი, შურით დაბრმავებულმა კაენმა ისე ცაიდინა მკვლელობა, რომ ხელიც კი არ აკანკალებია. მერე კი, როცა თავისი ჩადენილი ინანა, უკვე გვიანი იყო. ამის მერე ძმის მკვლელი უნდა ყოფილიყო და ის, პირველი ადამიანი გახდა მათ შორის, რომლებსაც „ჯოჯოხეთის ბინადარნი“ ეწოდებათ.

ტერორი; საზოგადოების,
ისტორიის, კულტურის,
ცივილიზაციისა და
კაცობრიობის საერთო
ღირებულებების
უარყოფაა.

კაენი ეშმაკის კარნახს აჰყვა და ყველაზე დიდი ბოროტება ჩაიდინა, რაც ადამიანმა შეიძლება მეორე ადამიანს გაუკეთოს. მან სასიკვდილოდ გაიმეტა ადამიანი, საკუთარი ძმა და ამ ქმედებით არამარტო მისი, არამედ მთელი კაცობრიობის სისხლი დაღვარა. ამრიგად დედამიწაზე პირველად დაიღვარა სისხლი. იმ დღიდან მოყოლებული კაცობრიობის ისტორიაში სისხლისა და ცრემლის ღვრა არ შეწყვეტილა.

ამ მოვლენიდან ათასობით წელი გავიდა. მას შემდეგ გვარებს, ტომებს, სახელმწიფოებს შორის სისხლისღვრა არ შეწყვეტილა. ისტორიის ფურცლები სავსეა ომებით, სისხლისღვრით, ძალადობით.

ძალადობის მასშტაბები და ეფექტი ტექნოლოგიების განვითარებათან ერთად უფრო და უფრო იზრდება. დღეს ერთ ღილაკზე დაჭირით ათასობით, ასიათასობით, მილიონობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შესაძლებელი. ადამიანის ხელით ნაწარმოები ძალადობის საშუალებელი მხოლოდ სიცოცხლეს კი არ სპობს, ისინი სპობს სიყვარულს, თანაგრძნობას, შემწყნარებლობას და სხვა ადამიანურ გრძნობებს.

რა არის ტერორი?

სხვათა მიმართ ძალადობას, უდანაშაულოთა მკვლელობასა და შიშის დათესვას ტერორი ეწოდება. სიტყვა ტერორი ლათინურიდან მომდინარეობს და ამ ტერმინის პოლიტიკურ ასპარეზზე დამკვიდრება ფრანგებმა დაიწყეს. პირველად ეს ტერმინი მეთექვსმეტე საუკუნეში იქნა გამოყენებული. ტერორი პანიკურ შიშს ნიშნავს. 1792 წლის მაისიდან 1794 წლის ივლისამდე პერიოდს, საფრანგეთში განხორციელებული სისხლიანი მოვლენების გამო „ტერორის პერიოდი“ ეწოდა. რევოლუციურმა მთავრობამ, რომელიც გადატრიალების შედეგად მოვიდა ხელისუფლებაში, ათასობით ადამიანი დახოცა. შემდგომ პერიოდებში შემოვიდა ტერმინი „ტერორისტული ბომბა“, რომელიც 1941 წელს გერმანელებმა გამოიყენეს და როტერდამი დაბომბეს.

კაცობრიობამ მეოცე საუკუნე ომებით, მასიური მკვლელობით, ქიმიური და ატომური იარაღის გამოყენების კვალდაკვალ განვლო.

დღეს

მსოფლიოს
თითქმის
ყველა
კუთხეში
კაენის გზით
მიმავალი
ადამიანები
ნგრევას,
განადგურებას,
და დამიანების
დახოცვას
მისდევენ.

სამწუხაროდ ოცდამეერთე საუკუნის პირველი მეოთხედი უნდა გავიდეს და მდგომაროება არ იცვლება. დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში კაენის გზით მიმავალი ადამიანები ნგრევას, განადგურებასა და ადამიანების ხოცვას ისევ განაგრძობენ. კაცობრიობა ერთის მხრივ დაუნდობელი ომების ქარცეცხლშია, ხოლო მეორეს მხრივ ტერორიზმი მძვინვარებს.

დღეს თითქმის არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ტერორისტებს არ მიუღწევიათ და არ ემუქრებიან. ტერორიზმს არ გააჩნია არც ეროვნება და არც რელიგია, ამიტომ ისინი როდის და სად მიიტანენ იერიშს ვერავინ გათვლის. ყველა ქვეყენა დაძაბულია და ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე ყველგან შიშია დათესილი. ირგვლივ შიში, შფოთვა, საფრთხის შეგრძნებაა გაბატონებული. ტერორისტების მიზანიც ხომ ეს არის!

ჩვენი ქვეყანაც ერთ-ერთი მათთაგანია, რომელსაც ტერორის საშინელი რისხვა დაატყდა და სავალალო შედეგები დადგა. ტერორისტებმა მრავალი ოჯახი შეიწირეს. რამდენი ჯარისკაცი, პოლიციელი, მასწავლებელი დაიღუპა ამ მზაკვ-

რული სისასტიკის დროს. რამდენი ადამიანი შეიყვანეს შეცდომაში ან აიძულეს,რომ ხელში იარაღი აეღო. რამდენ ადამიანს საკუთარი მშობლიური მიწების დატოვება მოუწია და ლტოლვილად იქცა. რამდენი უდანაშაულო და სრულიად უმწეო ბავშვი დაობლდა. ქალაქები პანიკამ მოიცვა და ქვეყნის ბიუჯეტის დიდი ნაწილი გადაიყარა. ტერორმა არამარტო დანგრეული შენობები, არამედ უსაზღვრო შიში და სასოწარკვეთილება დატოვა. ეს ტკივილი თაობიდან თაობას გადაეცემა და დიდხანს არ დავიწყდება.

უკანონო ბანდები, რომლებიც არ განასხვავებენ არც რელიგიას, არც ეროვნებას, არც დიდსა და პატარას, არც ქალსა და კაცს, თავს ესხმიან ყველას და უმოწყალოდ ანადგურებენ. ისინი რელიგიის კალთას არიან ამოფარებულნი და რელიგიის სახელით კაცობრიობისათვის დაუძინებელ მტრად გადაიქცნენ. ისინი მსხვერპლს არჩევენ და დაუნდობელი მოქმედებით უდანაშაულო ადამიანების სისხლს ღვრიან. მათ არ გააჩნიათ არანაირი სიწმინდე, არანაირი სინდისი და ასე ფანატიკურად დაპროგრამებულები ყველაფერს ანადგურებენ. ისინი მზად არიან გაანადგურონ სხვები და ასე-

ვე საკუთარი თავებიც. არსებობს სიმართლე, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. სანამ ტერორისტების უკან მდგომ, ამ ყველაფრით მოსარგებლე ჯგუფებს არ აღმოვაჩენთ, არ გავშიფრავთ და სააშკარაოზე არ გამოვიტანთ, ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია. ტერორიზმის საფრთხე არა ერთ ან რამოდენიმე ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს და კაცობრიობას ემუქრება და ის გლობალური პრობლემაა. შესაბამისად ყველა სახელმწიფომ ურთიერთეთანხმებულად და გააზრებულად უნდა იმოქმედოს რათა პრევენციული ღონისძიებები ეფექტური იყოს. დედამიწაზე არსებული უსამართლობისა და ბოროტების მოსასპობად ყველა ერთად უნდა დადგეს.

ტერორის განმარტება შესაძლებელია?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ტერორის ახსნა და სიღრმისეულად განმარტება იოლი არ არის. ტერორი, ტერორიზმი, ტერორისტი, ეს სამი ტერმინი ადამიანების გონებას მძიმედ აწვება. მათი ხსენებისთანავე ადამიანის გონებაში შიშის, სიძულვილისა და სისასტიკის შეგრძნება ჩნდება. არსებობს სხვა ტერმინიც, რომელიც ტერორიზმთანაა დაკავ-

შირებული. ეს არის დატერორება. ადრე ამ მნიშვნელობით დაშინებას, შეშინებას იყენებდნენ. დატერორებაში იგულისხმება სიმშვიდის დაკარგვა, პანიკის დათესვა, თავდასხმა და ძალადობა.

ყველა არეულობა, რომელიც ადამიანების სიმშვიდეს აფრთხობს, თესავს ქაოსსა და სისასტიკეს, ტერორია. გამომდინარე აქედან, ტერორი მხოლოდ სისხლისღვრას არ ნიშნავს. ის შეიძლება იყო მუქარა, შანტაჟი, სახიფათო აზრის გავრცელება და სხვა.



ახალი ტექნოლოგიებისა და ინტერ-ნეტის წყალობით ტერორიზმის მოქ-მედების არეალი საგრძნობლად გაი-ზარდა. ტერორიზმის კლასიფიკაცია შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ტერორისტული აქტის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, გამო-ყენებული მეთოდი, აქტის შემდგომი ეფექტი და საყრდენი ძალა. საერთა-შორისო უსაფრთხოების სამსახურები ჯერ კიდევ მუშაობენ იმისათვის, რომ ტერორის ზუსტი არსი და კლასიფი-

კაცია სამართლებრივად ახსნან. ამის მიუხედავად რჩება ფაქტი, რომ ტერორის პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური მიზნები არ იცვლება. ტერორის არსი და შედეგები იგივე რჩება; სისხლისღვრა, შიშის დათესვა, პანიკის გავრცელება, ნგრევა და ა.შ.

ზოგიერთს განმარტებით ტერორი კონკრეტული მიზნის მისაღწევად გამოყენებული ერთგვარი სტრატეგიაა. ზოგის აზრით კი ტერორი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ხალხის წინააღმდეგ მიმართული ძალადობაა. სხვების აზრით ტერორი იდეის გავრცელების ან რეჟიმის ცვლილების მიზნით გამოყენებული ძალადობრივი აქტია, რაც საზოგადოებაზე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს.

რა ფორმითაც არ უნდა იყოს ადამიანის მიერ სხვა ადამიანის, გარემოს, ბუნების და უფრო მეტიც, საკუთარი თავის მიმართ განხორციელებული ძალადობა ტერორის კატეგორიაში მოაზრება. ტერორი ადამიანური, მორალური, სამართლებრივი საზღვრების დარღვევა და წითელი ხაზების გადაკვეთაა.

ტერორი ულმობელი ძალადობა, დაუოკებელი სიძულვილი და უსაზღვრო მრისხანების გამოხატულებაა. ეს არის ქმედება, რომლის ჩადენაც უგუნურ, ღვთისა და განკითხვის დღისგან უშიშარ, სინდისის ქენჯნისაგან დაცლილ ადამიანს შეუძლია. ისინი, ვინც ალალი არამად, ხოლო არამი ალალად დაადგინეს, ღვთის სასჯელს იმსახურებენ.

„და არ არიოთ ქვეყანა მისი კეთილმოწესრიგების შემდგომ . და შეევედრეთ მას შიშითა და სასოებით . უეჭველად, ალლაჰის წყალობა ახლოსაა კეთილისმთესველთან“. (არაფ 7/56)

ამრიგად ტერორი მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებს არღვევს და „ქვეყნის არევას“ ისახავს მიზნად.

საბოლოოდ კი, რა სიტყვებითაც არ უნდა ავხსნათ ტერორი, ის პოლიტიკური ან სხვა მიზნების გამო ადამიანების სიცოცხლეს, ქონებას, სიმშვიდეს და კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს. შესაბამისად ყველა ის მოქმედება, რომელიც საზოგადოების სიმშვიდეს არღვევს, ადამიანების სიცოცხლესა და

დედამიწაზე ყველანაირი ბოროტების მოსპობა და არეულობის მომწყობთა შეჩერება მთელი კაცობრიობის ერთიან მოწადინებას მოითხოვს.

ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, თესავს შიშსა და ანადგურებს კეთილდღეობის პერსპექტივას, ტერორია.

რა არის ტერორის მიზანი?

ტერორის პირველი მიზანი შიშის დათესვაა. გამომდინარე აქედან ტერორისტული აქტის შედეგად რაც უფრო მეტი ადამიანი შეშინდება, რაც უფრო დიდი იქნება ნგრევის მასშტაბები, რაც უფრო მეტი რეზონანსი მოყვება, ტერორისტული აქტი იმდენად წარმატებულად ითვლება. ტერორის მიზანი საზოგადოებრივი წესრიგის მოშლა, სოციალური ცხოვრების არევა და ადამიანების პანიკაში ჩაგდებაა. ტერორისტული აქტის განხორციელებისას ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი იყოს მსხვერპლი და ზიანი.

უსაფრთხოების
განცდა
ყველაზე მეტად
ბავშვებს
სჭირდებათ.
შიშის, ქაოსისა და
დაუცველობის
ჩრდილქვეშ
აღზრდილი ბავშვი
ჯანმრთელი
იქნება?

იმ ადამიანების განცდები, ვისაც ტერორისტებთან უშუალო კავშირი მოუწია, რა თქმა უნდა განსხვავდება ჩვენს განცდებთან, როცა ამ ყველაფერს ტელევიზორის ეკრანებზე ვხედავთ ან გაზეთებში ვკითხულობთ. იმ ადამიანების განცდები, რომლებიც ტერორისტულ აქტს ბეწვზე გადაურჩნენ, განა ჩვეულებრივი ადამიანების განცდებს შეედრება? რა თქმა უნდა, არა. შედარება მხოლოდ გამოკიდებულებაშია. ტერორის ხსენებაზე ყველას შიში იპყრობს.

ტერორისტული ორგანიზაციების უკან მოქმედი შავბნელი ურთიერთობებისა და ტერორიზმისგან სარგებელის მიმღებთა გაშიფრვა უმეტესწილად შეუძლებელია. როგორც წესი ისინი არ ჩანან. მათ დავალებებს სხვები ასრულებენ, რომლებსაც ხელში იარაღი მისცეს და რაღაც ფორმით ტერორიზმში ჩაბმა აიძულეს. როგორი საცოდავები არიან ისინი, რადგან ასეთი ფორმით უდანაშაულო ადამიანებს და თანამორწმუნე ძმებს ხოცავენ. არადა მათ ჩააგონეს, რომ მომავალი „ბრწყინვალე“ ექნებათ. ყურანში მსგავსი მდგომარეობა შემდეგნაირადაა განმარტებული:

„აფრთხილებენ: ნუ თესავთ არეულობას დედამიწაზე! ისინი პასუხობენ: ჩვენ მხოლოდ მშვიდობისმთესველნი ვართ.

თვალი გაახილეთ! სწორედ ისინი არიან არეულობის მთესველნი, თუმცაღა არ აცნობიერებენ“. (ბაყარა 11-12)

ძალადობის სექტორი

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მსოფლიოში ერთგვარი „ძალადობის სექტორი“ ჩამოყალიბდა. არსებობს ქვეყნები, რომლებიც ძალადობას მიმართავენ. ასევე არსებობს კომერციული ფირმები, სხვადასხვა ჯგუფები, მედიასაშუალებები, რომლებიც ერთგვარ ძალადობას მისდევენ და ამით სარგებელი აქვთ. ამგვარი მოძალადე სექტორის ბუნებრივი შედეგი შესაბამისი აქტორების არსებობაა. ამგვარი აქტორები ზოგან იდეოლოგიის სახითაა წარმოდგენილი, ზოგან რელიგიურ მიმდინარეობად გვევლინება, ზოგან ეთნიკური ჯგუფის პრეტენზიები იკვეთება, ზოგას სიღარიბეა, ზოგან უმუშევრობა, უთანასწორობა და სხვა მსგავსი. არის შეტაკებები, ისევ ძალადობა, ბრძოლა და თითქოს მდგომარეობა

არსებობს სიმართლე,
რომელსაც თვალი უნდა
გავუსწოროთ. სანამ
ტერორისტების უკან
მდგომ, ამ ყველაფრით
მოსარგებლე ჯგუფებს
არ აღმოვაჩენთ,
არ გავშიფრავთ და
სააშკარაოზე არ
გამოვიტანთ, ტერორიზმის
დამარცხება შეუძლებელია.

იცვლება, მაგრამ ძალადობის მიზეზები და მამოტივირებელი სიტუაციები მუდმივად არის.

დღეისათვის არსებულ გლობალურ ტერორს ერთი უცვლელი კანონი კიდევ აქვს: ამ ძალადობის სექტორიდან დიდი შემოსავლების მიღება ხდება. ტერორიზმის უკან მდგომი ძალები რაც უფრო აფართოებენ მასშტაბებს, მათი შემოსავლები ასტრონომულად იზრდება. ისინი მომაკვდავ ტერორისტულ ორგანიზაციებს აღარ ეხმარებიან, მათ გადარჩენას არ ცდილობენ და მათ ადგილას ყოველთვის ახალ

და ახალ ორგანიზაციებს ქმნიან. ახალი სახელებითა იდეოლოგიით მოვლენილი დაჯგუფებები იგივე მეთოდებით განაგრძობენ ძალადობის დემონსტრირებას. კაცობრიობა ერთიმეორის მიყოლებით იღებს მათგან დარტყმებს. ამ პროცესში მსხვერპლი ყოველთვის ახალი ადამიანები არიან, მაგრამ მოგება ისევ იგივე ძალებთან მიდის.

ტერორისა და ძალადობის უკან არსებული კავშირები აისბერგის მსგავსია. მისი ხილული ნაწილი უხილავ ნაწილთან შედარებით ძალიან პატარაა. სწორედ ეს „წყალქვეშა“ ნაწილის აღმომჩენა და დანახვაა საჭირო. ეს არის ქაოსური კავშირების ლაბირინთი, სადაც ურთლესია ვისი ხელი ვის ჯიბეშია. ძლიერი სუსტს იმორჩილებს და მკვლელად ან მსხვერპლად იყენებს.

ტერორიზმის საძყანო

ტერორი ზოგჯერ ერთჯერადი მოვლენაა, მაგრამ ზოგჯერ ის დღეების, თვეების ან წლების განმავლობაში სისტემატიურად გრძელდება. ტერორს შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მოიტანოს. ტერორისტული თავდასხმა შეიძ-

ლება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას განხორციელდეს. ეს შეიძლება მოხდეს ქუჩაში, სკოლაში, სავაჭრო ცენტრში, სადგურში, მოკლედ ნებისმიერ ადგილას. ასევე შეიძლება ნებისმიერ დროს; დიალს, საღამოს, სადღესასწაულო დღეებში, მარხვის დროს. ასევე არ განასხვავებენ მსხვერპლის გატეგორიას: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება შეეწიროს ამგვარ თავდასხმებს.

ტერორისტი სხვა ადამიანებზე ტკივილის მიყენებას არ განიცდის. მას სულიერი აღრევა აქვს. უმეტესწილად ცივსისხლიანი და სადისტია. მას უკვე აღარ აინტერესებს ის ღრებულებები, რომელბიც ადამიანს ადამიანად აქცევს. ის მნიშვნელობას აღარ ანიჭებს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სიცოცხლე, სიკვდილი, ოჯახი, ღირსება, ჭემწყნარებლობა, სათნოება, სიყვარული და სხვა.

ტერორისტი ზოგადად ყველაფირს მიმართ აგრესიულია. ჯგუფში ის ცდილობს ადგილი დაიმკვიდროს, მაგრამ სინამდვილეში მარტოსულია. რეალური თვითშეფასება ძალიან დაბალი აქვს. მას

გააჩნია ფსევდო-გაბედულება და სიმამაცე, რომლის მიღმაც სერიოზული შიშები გააჩნია. იარაღით ხელში მამაცია, მაგრამ უიარაღოდ მშიშარაა.

ტერორიზმში ჩაბმული ადამიანი საკუთარი ოჯახის წევრებისთვისაც უცხო ხდება. ის საკუთარ თავს, ოჯახს, წარსულს, ფესვებს, კულტურას, რელიგიას და ეროვ-

ნებას წყდება და გრძნობს, რომ დასასრული სავალალო იქნება. ის საკუთარი ხელით ისპობს მომავალს და თვითგანადგურებისკენ მიილტვის. მას გონია, რომ ძალის გამოყენებით ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი.

ტერორისტი ჭეშმარიტებას აცდენილი ადამიანია. მისთვის ღმერთს, საიქიოს, ცოდვას, მადლს, ალალს, არამს და მსგავს რელიგიურ ტერმინებს რეალური მნიშვნელობა აღარ გააჩნია. ის შეიძლება რწმენასა და ღმერთზე საუბრობდეს, მაგრამ რეალურად რწმენისგან შორსაა. შუამავალი ბრძანებს: „მუსლიმი ის ადამიანია, რომლის ენისა და ხელისგან სხვა მუსლიმებს ზიანი არ მიადგებათ. მორწმუნე კი ისაა, ვისგანაც ხალხის სიცოცხლესა და ქონებას საფრთხე არ ემუქრება“. (თირმიზი, იმანი, 12)

შესაბამისად ტერორისტს, რომელიც ზიანის მომტან მანქანადაა გადაქცეული, რწმენასა და ისლამთან კავშირი არ აქვს.